# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

64

დამატების № 59 | კვირა, 22 სექტემბერი 1902 წ. | გაზეთის № 1932

*
* *

მახსოვს, სიმებმა უკანასკნელ გაიწკრიალეს,
ციური ჰანგი ერთხელ კიდევ მოესმა ჩემს ყურს,
უკანასკნელად გადმომხედე გიშრის თვალებით
და ნაღვლიანად მომაშტერდი შენთვის წამებულს.

—

შესწყდა აკორდი! დიდხანს ვიყავ სულ-განაბული,
შენ კი მდუმარედ გაჰყურებდი ლაჟვარდ სივრცეში,
თითქო ელოდდი იქ გეპოვა წყლულის მალამო,
თითქო გინდოდა მოგესმინა რამე ნუგეში.

—

რას-და ველოდით! ჩვენი ბედი დახშული იყო:
მხოლოდ ერთი-და წამი აკლდა ჩვენს განშორებას....
სდუმდა ყოველი... შესწყდა ჩემი გულის ძაფები,
გლოვისა ზარი მოერია მთელს ჩემს არსებას...

განდეგილი

1 სექტემბერი, 1902 წ.

# ჯ ა მ ბ ა ზ ი

(დასასრული *)

მეორე დილას ადრე გაეღვიძათ.

მთელი დილა მოანდომეს სამზადისს. პეტრემ ჩაიცვა მაუდი და თორმეტ საათზე გამოვიდნენ სახლიდან. გამოსვლის წინ პეტრე გადაეხვია ცოლს, შემდეგ პატარა ბავშვს და ორივენი რამდენჯერმე ჩაჰკოცნა.

დარი კარგი დაუდგათ. ქარი არ უბერავდა.

დიდმა აფიშამ, — რომელიც ჰპირდებოდა საზოგადოებას დღემდე უნახავ სანახავებს, — თორმეტ საჟენის სიმაღლეზედ ასვლამ და მოედანზე ფაციფუცმა ხალხი ბლომად მიიზიდა.

პეტრე და ანეტა დაუახლოვდნენ ბოძს, აიღეს ფულის საგროვი თუჯის ყულაბი და დაიწყეს ხალხში სიარული.

— ვისაც რამდენი შეგიძლიანთ!.. უარს ნუ გვეტყვით!.. ჩქარა დავიწყობთ...— ჰყვიროდა პეტრე ხვოსტოვი და უახლოვდებოდა გლეხს, ჯარისკაცს, მოხელეს.

ანეტას ერთის ხელით ბავშვი მიეკრა გულზე, მეორეთი ყულაბი დაეჭირა და უვლიდა მაყურებლებს. როდესაც ფულის ხმას გაიგებდა, თვალებით მადლობას აცხადებდა.

მოიარეს ხალხი და ხელ-ახლად დაუახლოვდნენ ბოძს.

პეტრე ხვასტოვი მივიდა დაქირავებულ კაცებთან და ყველანი თავ-თავის ადგილას დააყენა.

თამაშობისათვის გაბმული თოკები გაჭიმული უნდა ყოფილიყო. ამიტომაც ორი მსხვილი თოკი გააბეს, მხოლოდ სველი, რადგანაც, როცა გაშრებოდა, გაიჭიმებოდა. მაგრამ ეს საკმაო არ იყო. საჭირო, თოკი არ ქანაობდეს. ამისათვის მსხვილ თოკს მოაბეს წმინდა და მაგარი თოკი, რომლის წვერებიც მარჯვნივ და მარცხნივ პალოებზედ უნდა დაემაგრებინათ. მაგრამ ადმინისტრაციამ აღკრძალა მიწის ჩიჩქნა და რვა პალოს ჩასობა... რა ექნა პეტრეს? ოცდა ოთხი კაცი დაიქირავა, მისცა თითო წვერი სამს კაცს და სთხოვა, მაგრა დაეჭირათ. დაქირავებულებმა სტაცეს ხელი თოკის წვერებს და, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, გაჭიმეს.

მსხვილი თოკი გაიჭიმა; მაგრამ საკმაო იყო ერთს დაქირავებულ კაცს მოეშვა წვრილის თოკის წვერი: მსხვილი თოკი შეირხეოდა და...

— თვალი გეჭიროს მაგ ხალხზე, ანეტა! — უთხრა პეტრემ ცოლს, როდესაც ბოძს დაუახლოვდა. შემდეგ ფულის ყულაბი მოიბა კანაფით წელზე... აკოცა ანეტას... პირჯვარი გადასწერა ბავშვს და დაიმედებული შეხტა იქვე გადებულ ხარიხაზე, საიდანაც მაღლა უნდა ასულიყო...

როდესაც ბოძის შუა ადგილს მიაღწია, თავისი ყულაბი ზედ დაჰკიდა.

ანეტა თავ-ჩაღუნული უახლოვდებოდა ხან ერთს ჯგუფს მუშებისას, ხან მეორეს, და ეუბნებოდა:

— ღვთის გულისათვის, მხოლოდ რამდენიმე წამით გაამაგრეთ!..

ხალხში ჟრიამული და ტაშის-ცემა გაისმა.

პეტრე ხვასტოვი თორმეტის საჟენის სიმაღლეზედ იდგა, პატარა აივანზედ, და წყნარად არჩევდა თოკის წვერებს...

ჩვეულებრივის ნაბიჯით დაადგა ფეხი მსხვილს თოკს, და შემდეგ ცურვით საჩქაროდ მეორე მხარეს მოექცა.

ხალხლმა სული განაბა.

თორმეტის საჟენის სიმაღლეზედ, თითქოს ჰაერშიაო, მარჯვედ ხტოდა კაცი, და იმის ქვეშ-კი, მოედანზე, დაგებული იყო დიდრონი ქვები...

— ღვთის გულისათვის, სულ რამდენიმე წამი! — მიკნავებულის ხმით იმეორებდა ანეტა! თავი ჩაეღუნა, რომ არ დაენახა პეტრე, რადგან იმის დანახვაზე შეჰკივლებდა და შესაძლებელია პეტრე გადმოვარდნილიყო.

ხალხში კვალად გაისმა ჟრიამული და ტაშის-ცემა. ანეტა შეჰკრთა, რადგანაც იგრძნო, რომ პეტრე ბოლოში გავიდა.

ყველამ სული განაბა .. პეტრე ხვასტოვი დაბრუნდა.

— ღვთის გულისათვის, მხოლოდ რამდენიმე წამი! — ეხვეწებოდა ანეტა.



ემილ ზოლა **)

*) იხ. „დამატების“ მე-58 №-რი.

**) წერილები იხილე „ცნობის ფურცელში“ № №-ბი 1928 და 1931.

— ნუ გეშინიანთ! გავძლებთ!—მიუგო გაბედვით ახალგაზდა ყმაწვილმა, რომელმაც გააშვებინა ორს თავის ამხანაგს თოკის წვერი და შეათამაშა ხელში.

— რა ჰქმენ?!!—უეცრად შეჰყვირა ანეტამ და ღონე-მიხდილი მიწაზე დაეცა. ხალხში ჩოჩქოლი ასტყდა.

დაქირავებული კაცები შეინძრნენ, ყველამ, ვითარცა ერთმა კაცმა, გაუშვა თოკის წვერს ხელი და გაიქცა მეორე მხარეს.

პეტრე ხვასტოვი გადმოვარდა მსხვილ თოკიდან... მაგრამ მეტად მოულოდნელი შემთხვევა მოხდა...



ზღვის პირას ზაფხულში.

გადმოვარდნის დროს ხელში შერჩა წმინდა თოკის რამდენიმე წვერი, რომელიც მსხვილს თოკს ება. წელზე თუჯის სალტა ერტყა, ამ სალტას გამოედო წმინდა თოკის წვერი, და პეტრე ჰაერში ჩამოეკიდა...

ხალხი საზარლად მიჩუმდა.

გონს მოსულმა ანეტამ ასწია თავი ზევით და შეჰყვირა:

— პეტრე, ჩემო კარგო!

— ნუ გეშინიან, ანეტა!—გაისმა სიჩუმეში გამამხნევებელი ხმა პეტრე ხვასტოვისა, და შემკრთალი ხალხი აღელდა.

— გიშველა ღმერთმა!

— კიდევ! კიდევ!

— ნუ გეშინიან!—ისმოდა მუშების ხმები, რომელნიც ბოძებზე მიფოფხავდნენ საშველად.

პეტრე ხვასტოვმა სტაცა ხელი სალტაზე მოდებულს წმინდა თოკს, რომელიც საკმაოდ მაგარი იყო, და თვალის დახამხამებაზე ისევე მსხვილს თოკს მოექცა ზევიდან, დაიხარა ∂ იმის შემწეობით, ფოფხვით, დაუახლოვდა ჩამოსასვლელს ბოძს.

— პეტრე! პეტრე!—სიხარულისაგან თავ-დავიწყებით ჰყვიროდა ანეტა და უახლოვდებოდა ბოძს.

ხალხიც იქითკენ მირბოდა.

—

ცოლ-ქმარი და ბავშვი ღამე შინ მივიდნენ. პეტრე იცინოდა, ხუმრობდა, ანეტა კი გაუბედავად ეკვროდა ამ სიტყვებით:

— ჩვენს სიცოცხლეში ვერ შევაგროვებდით ამდენს ფულს! ეხლა, ჩემო პეტრე, დარწმუნებული იყავ, ადმინისტრაცია ნებას მოგცემს პატარა პალოები დაარჭო მოედანზე. ხომ მართალია, პეტრე?..

— ფული გვაქვს, ანეტა, ფული... ჰა, ჰა, ჰა, ჰა! ფულს ბევრი რამე შეუძლიან... ამ ფულით, თუ მოისურვებ, შენ სხვაზედ გაგათხოვებ... მეც სხვა ცოლს შევირთავ... ჰა, ჰა, ჰა! გეუბნები, სულელო, ფულს დიდი ძალა აქვს მეთქი!.. არა გჯერა? აბა დავთვალოთ, თუ ბევრი არ არის... აანთე სანათი...

ანეტამ მოუკიდა სანათს... მოითხოვეს სამოვარი და დაიწყეს ფულის თვლა.

ფული მართლაც რომ ბლომად იყო, მაგრამ იგი ვერ ახარებდა ანეტას გულს. ჰგრძნობდა, რომ ადრე თუ გვიან მოულოდნელი უბედურება დაარღვევს იმათ ცხოვრებას... ყოველთვის ისე ვერ გადარჩება, როგორც დღეს... აი ეს ფიქრები აშფოთებდა და უკლავდა გულს ახალგაზდა ქალს.

— პეტრე!—ღიმილით ეუბნებოდა ანეტა:—პეტრე! ღვთის გულისათვის, ჩემი გულისათვის, შვილის გულისათვის დაანებე თავი თოკზე თამაშობას... დაანებე თავი ჯამბაზობას...

— მერე, რითი ვიცხოვროთ?...

ბ. ახოს-პირელი

# ნარევი

მარკ ტვენი. მარკ ტვენი მოგონილი სახელია, ნამდვილად კი ამ სახელის პატრონი სამუელ კლემენსია.

მარკ ტვენი არ არის მხიარული კაცი,—როგორც ამას მოგვითხრობს ერთი ამერიკელი ჟურნალისტი—ის მუდამ დიდებულად დინჯია და მეტად საოხუნჯო რამეს ისეთის კილოთი ამბობს ხოლმე, თითქოს თავისს საუკეთესო მეგობარს სიკვდილით დასჯას უცხადებსო. როცა ოხუნჯობს, ღიმილიც კი არ მოსდის; პირ-იქით სახეზე მწუხარების ნიშანი გამოესახება.

ცხოვრების გარემოებას სწორედ ხელი შეუწყვია, რომ ასეთი ხასიათი დაჰყოლია სახელოვანს მწერალს, რომელიც ნამდვილ ამერიკელის დამახასიათებელია ცხოვრებაში დაწინაურებით. მეტად ღარიბი ოჯახის შვილი ყოფილა და გაჭირვების ცეცხლ-მდუღარეში გამოუვლია: პატარაობისას ბიჭად ყოფილა სტამბაში, მერე ამწყობად, მერე მდინარე მისსურიზე გემების წინამძღოლ-გზის მაჩვენებლად (ლოცმანად); მერე რეპორტერობა (გაზეთებისათვის ამბების შეგროვება) დაუწყვია; მერე რედაქტორად და გამომცემლად გამხდარა. ერთ დროს ბედმა კიდეც გაუღიმა: დიდის ხნის გაჭირვების შემდეგ უეცრად დი-

დი ქონება მიიღო, მაგრამ იმისათვის, რომ სამოც წლისა სულ უგრძნობლად დარჩენილიყო: მთელი თავისი შეძლება ერთ გამომცემელ ამხანაგობის საქმეში ჩაჰყარა, საქმე კარგად ვერ წავიდა და ფულები ერთიანად დაჰკარგა. მაგრამ ტვენს გული არ გასტეხია: ნამდვილის ამერიკელის სიმხნევით დარბაისელმა და ხანში შესულმა მწერალმა, რომელსაც ადვილად შეეძლო შეძლება შეენახა და მშვიდობიანადაც ეცხოვრა, ახალის გულ-მხურვალეობით ხელ-ახლა მიჰყო ხელი მუშაობას, რომ კიდევ შეექმნა თავისს თავისათვის სასურველი მდგომარეობა ორის წლის განმავლობაში ორასი ათასი მანეთი ვალი გადაიხადა და ეხლა ისე მუშაობს, როგორც მუშაობდა მაშინ, როცა მარკ ტვენის სახელი საქვეყნოდ ცნობილი ჯერ კიდევ არ გამხდარიყო.

ზაფხულობით მარკ ტვენი ნიუ-იორკის შტატის ჩრდილო ნაწილის მთებში ცხოვრობს, ზამთარში კი ქალაქ გარტფორდში (კონნეკტიკუტის შტატშია). გამოჩენილი ოხუნჯი—მწერალი ამერიკისა ამ ჟამად 66 წლისაა, მაგრამ ძლიერ მხნედ არის: მძიმე შრომაში გავლილ დროს ცოტა დაღი დაუჩნევია მწერლისათვის. გასართობებში ერთ დროს ყველაზე უფრო მოსწონდა ველოსიპედი. საუცხოვოდ იცის ნიჩბის ხმარება ნავზე, რადგან დიდხანს ლოცმანად იყო, და წყალიც მეტად უყვარს. ერთი გასართობიც ძალიან უყვარს სახელოვან მწერალს—ბილიარდი. დაჟინებით უყვარს თამბაქოს წევა—დღეში ოცამდე სიგარას მოსწევს. მარკ ტვენის საყვარელი პოეტი ბროუნინგია, ისტორიული გმირი კი—ნაპოლეონი.

*
* *

ბედნიერი ცოლ-ქმრობა. ინგლისის პარლამენტის ერთმა დეპუტატმა განიზრახა შეეტყო, რამდენია ლონდონში ნამდვილი ბედნიერი ცოლ-ქმარი· ამისათვის დაიქირავა ცნობების აკრებვაში დახელოვნებული კაცები (სტატისტიკოსები) და აი, რა ახირებული ცნობები შეუკრებიათ ამ სტატისტიკოსებს: ცოლებისაგან მიტოვებული ქმრები აღმოჩენილან 1,362. ქმრებისაგან მიტოვებული ცოლები—2.371. თავის ნებით განშორებულან ცოლ-ქმარი—4.120. ისეთი ცოლ-ქმარნი, რომელთაც ერთმანეთი ჭირივით სძულდათ, მაგრამ მაინც ერთად ცხოვრობდნენ, რომ ხალხისაგან დაჰფარონ ეს—162.320. ისეთი ცოლ-ქმარნი, რომელთაც ერთმანეთის დარდი სრულებით არა ჰქონდათ—510.132. ისეთი ცოლ-ქმარნი, რომელნიც სხვებს ბედნიერად მოაჩნდათ, მაგრამ თვითონ ისინი-კი ამას სრულებით არა ჰგრძნობდნენ—1.102. ისეთები, რომელნიც სხვებთან, უფრო მეტ უბედურებთან შედარებით ბედნიერად რაცხდნენ თავის თავს—135 და დასასრულ ნამდვილად ბედნიერი ცოლ-ქმარი აღმოჩენილა 7.

განა ჩვენში არ შეიძლებოდა ამისთანა ცნობების შეკრება?..

## აზრები და აფორიზმები

ვიდრე მდიდარი ხარ, ანუ რაიმე თვალ-საჩინო თანამდებობა გიჭირავს, ხალხის თვალში ჭკუიანიცა ხარ, პატიოსანიც და კეთილშობილიც. მაგრამ ცხოვრების კიბიდან თუ როგორმე ფეხი დაგიცდა, იცოდე ყველაფერს დაჰკარგავ და სულელიც მაშინ შეიქმნები უპატიოსნოც და უზრდელიც.

**

ცხოვრების გზა ისე გაეკლიანდა, რომ თუ რკინის ქალამნებით არა, სიარული შეუძლებელია.

**

ბოროტება ადამიანის თან დაყოლილი თვისებაა. ამიტომ ვისაც ბოროტების აღმოფხვრა უნდა, ჯერ ბინა—ადამიანი უნდა მოსპოს...

**

ადამიანის ბუნება სწორეთ საოცარია! ცხოვრება უბედურების აკვნად გარდაჰქცევია და ის მაინც რაღაც „ბედნიერებას“ ეპოტინება!..

**

ღმერთო ჩემო, რამდენი „საზოგადო მოღვაწე“ გვყავს! მათი მესხედიც რომ მართლა საზოგადო მოღვაწე იყოს, ჩვენ ბედს ძაღლიც არ დაჰყეფდა!..

**

სხვა და სხვაობისთვის ხშირად დედაკაცის იჭვიანობასაც არა უჭირს-რა.

**

ადამიანის ბუნების ცოდნა ყოველ ცოდნაზე მაღლა დგას.

**

ექიმი უპირველესად ყოვლისა საკუთარი ჯიბის ექიმია.

**

განათლება მართლაც სინათლეა, რომლითაც ვარჩევთ ჩვენს... არარაობას.

**

ვინც ჩვენთვის უფრო ძვირფასია, ჩვენი თავმოყვარეობის შელახვას უფრო ნაკლებ ვაპატიებთ ხოლმე.

## ტფილისის საბჭოს მოღვაწეობა



ქალაქმა თვითონ იკისრა ქუჩების განათება. მოიჯარადრე არ ანათებს ქუჩებს.ო, მაგრამ....



განა ერთხელ და ორჯელ იყო ნათქვამი, რომ ქალაქის განაპირა ქუჩებიც სუფთად უნდა ინახებოდესო, მაგრამ ..





აგრედ წოდებულ მუხრანიანთ ხიდის გაკეთების საჭიროებაზე 30 წელიწადი ლაპარაკობენ, მაგრამ....

მცხოვრებლებზე ზრუნვამ აიძულა საქალაქო სასაკლაოში უვარგისი ხორცის საწვავი გაემართათ, მაგრამ....






თუ ქალაქის საქმეებს რიგიანი „მამები“ ჰყავდესთ, დეფიციტს და „კასსის“ სიჭლექეს ადგილი არ უნდა ჰქონდეს, მაგრამ..

საქალაქო მიწებს „იპარავდნენ“ და ზედ სახლებს აშენებდნენ, თითქო მხურვალედ შეუდგნენ ამის მოსპობას, მაგრამ...



არჩევნების დროს მხურვალე ბრძოლა იყო, საქმეს ჩვენსავით ვერავინ მოუვლისო, მაგრამ....

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

Доз. ценз. Тифлисъ, 21 Сентября 1902 г. Электропеч. груз. изд. т—ва. (ელექტრონის სტამბა წიგნ. გამომც. ქართ. ამხ—ისა,